

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება №

2018 წლის -- -----

ქ. თბილისი

**სესხის/კრედიტის/გარესაბალანსო ვალდებულების გაცემისას ფიზიკური პირების მიმართ
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 64¹ მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს სესხის/კრედიტის/გარესაბალანსო ვალდებულების გაცემისას ფიზიკური პირების მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ დებულება თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

დებულება სესხის/კრედიტის/გარესაბალანსო ვალდებულების გაცემისას ფიზიკური პირების მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ დებულების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება.
2. ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეზე) გაცემულ ყველა სესხის სესხზე ან/და თავდებობაზე/უზრუნველყოფის მიწოდებაზე.
3. ამ დებულების მოთხოვნები, გარდა ამავე მუხლის მე-5 პუნქტში დადგენილი შემთხვევისა, არ ვრცელდება:
 - ა) მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხზე;
 - ბ) ფიზიკურ პირზე, რომლის ჯამური სასესხო ვალდებულებები სესხის გამცემი ორგანიზაციების მიმართ სესხის გაცემის შემდეგ ნაკლებია 200 ლარზე ან აღემატება 2,000,000 ლარს, ან მის ექვივალენტს უცხოური ვალუტით;
 - გ) იმავე ან სხვა სესხის გამცემ ორგანიზაციაში რესტრუქტურირებულ სესხზე, თუ ამავდროულად არ ხდება ვალდებულებების ზრდა. ვალდებულებების ზრდად არ ჩაითვლება სესხზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს, ფინანსური სანქციის კაპიტალიზაცია და სხვა დაკავშირებული ხარჯი, როგორცაა ნოტარიუსის, თუ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების ხარჯი;
 - დ) დასაკუთრებული უძრავი ქონების ყოფილ მესაკუთრეზე ან მის ოჯახის წევრზე უკან დაბრუნების შემთხვევაზე, როდესაც გაიცემა შესაბამისი სესხი.
 - ე) ფიზიკური პირის იურიდიული პირის მიმართ თავდებობაზე/უზრუნველყოფის საშუალების მიწოდებაზე, თუ თავდები/უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებელი წარმოადგენს ამ იურიდიული პირის მმართველი ორგანოს წევრს/პარტნიორს/აქციონერს ან პარტნიორის/აქციონერის საოჯახო მეურნეობის წევრს;
 - ვ) ფინანსური ინსტრუმენტებით (მათ შორის, ფასიანი ქაღალდებით) და ფულადი სახსრებით სრულად უზრუნველყოფილ სესხებზე;
 - ზ) უძრავი ქონებით სრულად უზრუნველყოფილ სესხზე, როდესაც სესხის დაფარვის წყაროა იპოთეკაში ჩადებული უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.
 - თ) უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიმწოდებელზე, როდესაც მისი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია ამ დებულების მოთხოვნების დაცვით და უზრუნველყოფის საგანი არ წარმოადგენს უზრუნველყოფის მიმწოდებლის საცხოვრებელ ადგილს. საცხოვრებლად გამოყენების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს წერილობითი განცხადებით.
4. ამ დებულების დანართი N1 და დანართი N2 კოეფიციენტები არ ეხება:
 - ა) სამეწარმეო საქმიანობის მიზნობრიობით გაცემულ სესხებს;
 - ბ) იპოთეკურ სესხს, როდესაც მსესხებლის შემოსავლების შესწავლა/დადასტურება ვერ ხერხდება ობიექტური მიზეზების გამო (მაგალითად, შემოსავლების მიღება ხდება უცხოეთში) და სესხის უზრუნველყოფის 60%-იანი კოეფიციენტის (LTV) დაცვა ხდება ფულადი სახსრების სახით არსებული თანამონაწილეობით;

5. მსესხებლის/თანამსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე სესხის გაცემის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ვ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, სესხის გამცემი ორგანიზაციის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება და უნდა გავრცელდეს მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციით ან/და დასაკუთრებით) განხორციელებით. ეს პუნქტი არ ვრცელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილ სესხებზე, თუ მსესხებლის მხრიდან მოხდა უზრუნველყოფის საგნის განზრახ განადგურება.
6. იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრება 15 წელი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის - 10 წელი, სატრანსპორტო სესხის - 6 წელი, სხვა დანარჩენი სამომხმარებლო სესხებისთვის (გარდა რევოლვირებადი პროდუქტებისა) - 4 წელი.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სესხის გამცემი ორგანიზაცია - კომერციული ბანკი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება - საკრედიტო კავშირი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სესხის გამცემი სუბიექტი;
- ბ) სესხი - სესხი/კრედიტი/გარესაბალანსო ვალდებულება (გარანტია, აკრედიტივი) და სხვა ვალდებულება;
- გ) სესხის გამცემი სუბიექტი - ნებისმიერი პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს) აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება;
- დ) იპოთეკური სესხი - უძრავი ქონების შეძენა/მშენებლობა/რემონტის/მოწყობის მიზნობრიობით გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი ან მისი რეფინანსირება;
- ე) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი - სხვა ნებისმიერი მიზნობრიობით გაცემული სესხი, რომლის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს უძრავი ქონება;
- ვ) სატრანსპორტო სესხი - სატრანსპორტო საშუალების შესაძენად გაცემული სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია ამავე სატრანსპორტო საშუალებით;
- ზ) სამომხმარებლო სესხი - ნებისმიერი მიზნობრიობით/დანაშინულებით გაცემული სესხი, გარდა სამეწარმეო (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო) მიზნობრიობისა და ამ მუხლის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სესხისა;
- თ) საოჯახო მეურნეობა - ფიზიკურ პირთა ერთობლიობა, რომლებიც ერთად წარმართავენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, აღნიშნულის განსაზღვრა ხდება სესხის გამცემი ორგანიზაციის შიდა პოლიტიკა-პროცედურების შესაბამისად;
- ი) თავდებობა/უზრუნველყოფის საშუალების მიწოდება - სხვა პირის სასარგებლოდ სესხის სანივთო ან/და ვალდებულებითი უზრუნველყოფა;
- კ) ყოველთვიური წმინდა შემოსავლები - ფიზიკური პირების ჯამური, დადასტურებული ყოველთვიური შემოსავლები გადასახადებსა და ბიზნესს (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო) სესხებზე გაწეული გადახდების შემდეგ;
- ლ) ჯამური ვალდებულებები - მსესხებლის/თანამსესხებლის ყველა ტიპის ვალდებულება, გარესაბალანსო, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ონლაინ სესხის

გამცემი ორგანიზაციების, სალიზინგო კომპანიების, სესხის გამცემი სუბიექტების, შიდა განვადების გამცემი პირებისა და სხვა პირების წინაშე არსებული ვალდებულებების ჩათვლით. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის საკრედიტო ბარათები, ოვერდრაფტები და სხვა მსგავსი ტიპის პროდუქტები გაითვალისწინება ჯამური ლიმიტების შესაბამისად. ვალდებულებები, რომლებიც არ გამომდინარეობს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში დაცული მონაცემებიდან, უნდა იქნეს გამჟღავნებული და დადასტურებული უშუალოდ მსესხებლის/თანამსესხებლის მიერ. აღნიშნული მიზნებისათვის ასევე გაითვალისწინება სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაცია.

მ) ყოველთვიური გადასახდელები - ფიზიკური პირის მიერ ჯამურ ვალდებულებებზე ყოველთვიურად გადასახდელი თანხა, რომელიც ამ დებულებით დადგენილი წესით გამოითვლება;

ნ) სესხის მომსახურების კოეფიციენტი (PTI) - მსესხებლის/თანამსესხებლის სესხზე ყოველთვიური გადასახდელებისა და ყოველთვიური წმინდა შემოსავლების თანაფარდობა;

ო) სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (LTV) - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხ(ებ)ის/კრედიტ(ებ)ის და უძრავი ქონების სახით არსებული უზრუნველყოფის საშუალების საბაზრო ღირებულების თანაფარდობა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ სესხ(ებ)ს/კრედიტ(ებ)ს. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის იგულისხმება სესხის გამცემი ორგანიზაციის მხოლოდ პირველი რიგის სამართლებრივი უფლება. აღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ ყველა წინა რიგის სამართლებრივი უფლება ეკუთვნის მომსახურე სესხის გამცემ ორგანიზაციას;

პ) ჰეჯირებული მსესხებელი - პირი ითვლება კონკრეტული ვალუტის მიმართ ჰეჯირებულად, თუ მისი ყოველთვიური წმინდა შემოსავლები არანაკლებია ამავე ვალუტაში სესხის მოსახურებისათვის საჭირო წმინდა შემოსავალზე;

ჟ) საშელავათო პერიოდი - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მსესხებელი/თანამსესხებელი ყოველთვიურად არ იხდის სესხზე დარიცხულ პროცენტს, საკომისიოს სრულად ან/და ძირს და რომელთა გადახდასაც დაიწყებს საშელავათო პერიოდის დასრულების შემდეგ. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის საშელავათო პერიოდად არ ჩაითვლება სესხზე არსებული განსხვავებული დაფარვის გრაფიკი, თუ აღნიშნული მორგებულია შემოსავლების მიღების ფორმაზე;

რ) რეკოლვირებადი საკრედიტო პროდუქტი - საკრედიტო პროდუქტი, რომელსაც არ აქვს ფიქსირებული გადახდის წინასწარი გრაფიკი და საშუალებას აძლევს მსესხებელს დაფაროს და თავიდან აითვისოს წინასწარ დამტკიცებული თანხა;

ს) გადახდისუნარიანობის ანალიზი - მსესხებლის/თანამსესხებლის, ასევე თავდების და უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებლის შემოსავლების, ხარჯებისა და ვალდებულებების ანალიზი;

ტ) რესტრუქტურირებული სესხი - რესტრუქტურირებული სესხი, განმარტებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის #117/04 ბრძანებით “კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ”, ან როდესაც მსესხებელი ვერ ემსახურება ფინანსური სირთულეების გამო (მათ შორის თუ დარღვეულია ამ დებულებით მოთხოვნილი კოეფიციენტები);

უ) რეფინანსირებული სესხი – სესხი, რომლის დაფარვის პირობების შეცვლაზე არსებობს შეთანხმება სესხის გამცემ ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის და დაფარვის პირობების ცვლილება არ არის გამოწვეული მსესხებლის ფინანსური სირთულეებით;

ფ) საკრედიტო საინფორმაციო ბიურო (შემდგომში - ბიურო) – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც აგროვებს, ინახავს, ამუშავებს და გასცემს საკრედიტო ინფორმაციას პირის შესახებ.

ქ) სამეწარმეო საქმიანობის მიზნობრიობით გაცემული სესხი - სესხი, რომლის მიზნობრიობა ბიზნეს საქმიანობაა, მათ შორის, ვაჭრობის დაფინანსება, უძრავი ქონების გაქირავება, სტარტაპი, სასოფლო-სამეურნეო მიზნობრიობა და ბიზნესის მიმდინარე ხარჯების დაფარვა. იმისათვის, რომ სესხი დაკლასიფიცირდეს სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემულ სესხად, აუცილებელია სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი ფინანსური ანალიზის ჩატარება შიდა პოლიტიკა/პროცედურების შესაბამისად.

ღ) საცალო სესხი - ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი/კრედიტი, გარდა სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხისა.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს “კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N117/04 ბრძანებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3. ჯანსაღი დაკრედიტების პრინციპები

1. სესხის გამცემი ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპით, რომელიც განსაზღვრულია ამ დებულებით და ატარებს შინაარსს, რომ სესხის გამცემმა ორგანიზაციამ არ უნდა დააკისროს მომხმარებელს ფინანსური ვალდებულება, რომლის მომსახურებას მომხმარებელი ვერ შეძლებს ჭარბი ფინანსური სირთულის გარეშე. ამასთან, ის ფაქტი, რომ უზრუნველყოფაში არსებული აქტივის ღირებულება აღემატება სესხის მოცულობას, არ უნდა იყოს სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი ფაქტორი.

2. სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია არ გასცეს სესხი ან/და არ მოითხოვოს თავდებობა/უზრუნველყოფის მიწოდება მსესხებლის/თანამსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე, გარდა ამ დებულებით განსაზღვრული გამონაკლისებისა. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს ამ დებულების მე-7 მუხლით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

3. ფიზიკური პირის შემოსავლების გათვალისწინება ამ დებულებით განსაზღვრული სესხის მომსახურების კოეფიციენტის დაანგარიშების მიზნებისათვის სხვა ფიზიკური პირის სესხის მომსახურებისთვის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი წარმოდგენილია თანამსესხებლის ფორმით და წარმოადგენს საოჯახო მეურნეობის წევრს.

4. მსესხებლის/თანამსესხებლის ყოველთვიურ წმინდა შემოსავლებს და ყოველთვიურ გადასახდებებს შორის სხვაობა უნდა აღემატებოდეს სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმს სესხის გაცემის თარიღისათვის.

5. საცალო ტიპის სესხზე გადახდები შესაბამისობაში უნდა იყოს მსესხებლის შემოსავლების მიღების პერიოდულობასთან. საშუალოდ პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 6 (ექვს) თვეს.

მუხლი 4. სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები

1. სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია არ გასცეს ისეთი სესხი ან/და არ განახორციელოს თავდებობის ან უზრუნველყოფის საშუალების მიღება, თუ მსესხებლის/თანამსესხებლის/თავდების/უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებლის სესხის მომსახურების ან/და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი აღემატება ამ დებულების დანართ №1-სა და დანართ №2-ში წარმოდგენილ მაჩვენებლებს, გარდა ამ დებულებით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

2. დანართ №1-ში მოცემული, სესხის მომსახურების კოეფიციენტის ლიმიტი დაცული უნდა იყოს როგორც საკონტრაქტო შენატანების, ასევე მაქსიმალურ ვადიანობაზე გადათვლილი შენატანების შემთხვევაში. სესხის მომსახურების კოეფიციენტი მაქსიმალურ ვადიანობაზე დაითვლება როგორც ანუიტეტური გადახდები ამ დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ვადებზე.

მუხლი 5. დაანგარიშების პრინციპები

1. ყოველთვიური წმინდა შემოსავლის დაანგარიშების მიზნებისათვის, როდესაც სახეზეა ყოველთვიურისგან განსხვავებული პერიოდულობის მქონე რეგულარული შემოსავლები, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას მაქსიმუმ შესაბამისი პერიოდის მედიანური ან საშუალო მაჩვენებელი (გაანალიზებული შემოსავლები გაყოფილი შესაბამისი ინტერვალის თვეების რაოდენობაზე).

2. როდესაც კონტრაქტით წინასწარ არის დაგეგმილი სხვადასხვა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი სესხის ვადის მანძილზე, სესხის მომსახურების კოეფიციენტი დათვლილი უნდა იყოს მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის პირობებში. როდესაც კონტრაქტი ითვალისწინებს არათანაბარ გადახდებს, მაქსიმალური გადახდა არ უნდა არღვევდეს ამ დებულების დანართ №1-ში მოცემულ სესხის საკონტრაქტო მომსახურების კოეფიციენტებს.

მუხლი 6. შემოსავლების შეფასება

1. ფიზიკური პირის შემოსავლის დასადასტურებლად გამოიყენება სახელფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან ან/და ცნობა შემოსავლების სამსახურიდან. სხვა შემთხვევაში, თუ არ არსებობს მსგავსი დოკუმენტი, სესხის გამცემმა ორგანიზაციამ ფიზიკური პირის შემოსავლის სტაბილურობა უნდა შეისწავლოს და ფინანსურ ანალიზი განახორციელოს შიდა პოლიტიკა-პროცედურების შესაბამისად (მათ შორის დასაშვებია რაოდენობრივი/სტატისტიკური მოთოდოლოგიის გამოყენება, თუ მათი მიზანია შემოსავლების შეფასება). ამასთან, თუ ბანკის მიერ შემუშავებული პოლიტიკა-პროცედურა ვერ უზრუნველყოფს მსესხებლის შემოსავლის საკმარისად გადამოწმება/დადასტურებას, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს ბანკს აღნიშნული პოლიტიკა-პროცედურების დაუყოვნებლივ გაუმჯობესება ან სესხების გაცემის შეჩერება ადეკვატური პოლიტიკა-პროცედურების შემუშავებამდე.

მუხლი 7. სანქციები

სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციები.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. ამ დებულების მოთხოვნები არ ვრცელდება ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებულ სასესხო ნაშთებზე და მათ რეფინანსირებაზე იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება სესხის მოცულობის ზრდა.
2. ამ დებულებისაგან განსხვავებული პროდუქტის სესხის გაცემის შემთხვევაში, სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია პოლიტიკა/პროცედურები წინასწარ შეათანხმოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები დაგრძელებადიანებული და
საკონტრაქტო

ყოველთვიური წმინდა შემოსავლების მოცულობა ლარით	არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტრაქტო შენატანების შემთხვევაში	ჰეჯირებული მსესხებლებისათვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტრაქტო შენატანების შემთხვევაში
<1,000	20% / 25%	25% / 35%
>=1,000-2,000<		35% / 45%
>=2,000-4,000<	25% / 30%	45% / 55%
>=4,000	30% / 35%	50% / 60%

შენიშვნა: სესხის მომსახურების კოეფიციენტი მაქსიმალურ ვადიანობაზე დაითვლება როგორც ანუიტეტური გადახდები ამ დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ვადებზე.

შენიშვნა: ჰეჯირებული მსესხებლებისთვის განსაზღვრული კოეფიციენტები გავრცელდება ასევე მსესხებლებისთვის რომლებსაც, შემოსავლები აქვთ უცხოური ვალუტით, ხოლო სესხს იღებენ ლარით.

შენიშვნა: მულტისავალუტო სესხის შემთხვევაში, სესხის მომსახურების მაქსიმალურ დასაშვებ კოეფიციენტად გაითვალისწინება საშუალო შეწონილი კოეფიციენტები.

სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის მაქსიმალური მაჩვენებელი ლარით გაცემული სესხებისთვის	85%
სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის მაქსიმალური მაჩვენებელი უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის	70%